

(English)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების
საქმეთა პალატას

პენსილვანიის (აშშ) საგუშაგო კოშკის, ბიბლიისა და ტრაქტატების საზოგადოების
საქართველოს წარმომადგენლობის

ქ. თბილისი, ისნის რაიონი,
ქ. ჩოლოყაშვილის ქ, კვარტალი I,
კორპუსი 2, ბინა 78

იეჰოვას მოწმეთა კავშირის

ქ. თბილისი, ვაზისუბნის დასახლება,
II მკრ-ნი, მე-11 კორპ., ბ. 142

საკასაციო საჩივარი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო
და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის
2000 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებაზე საქმეზე № 02^ბ-503

2000 წლის 26 ივნისს, ქ. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატამ, მ. ჭყონიას თავჯდომარეობით, დააკმაყოფილა პოლიტიკური პარტია - ნაციონალური მოძრაობის „საქართველო უპირველეს ყოვლისა“ თავჯდომარის გ. შარაძის სააპელაციო საჩივარი, და გააუქმა ისან-სამგორის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება. სასამართლომ ასევე მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა, თბილისის ისნის რაიონის სასამართლოს 1998 წლის 17 აპრილის № 7/ 9-5 დადგენილება „იეჰოვას მოწმეთა კავშირის“ და ისნის რაიონის სასამართლოს 1998 წლის 11 ივნისის დადგენილება „პენსილვანიის საგუშაგო კოშკის, ბიბლიის და ტრაქტატების საზოგადოების“ წარმომადგენლობის რეგისტრაციების გაუქმების თაობაზე.

ეს ორი ორგანიზაცია გატარდა რეგისტრაციაში ისან-სამგორის რაიონულ სასამართლოში 1998 წლის 17 აპრილს და 11 ივნისს ბადრი კოპალიანის და სხვა იეჰოვას მოწმეთა მიერ საქართველოში, რათა მორწმუნეთა გაერთიანებებს შესაძლებლობა ჰქონოდათ იჯარით აეღოთ შენობები შეკრებებისთვის და ერთობლივი თავყვანისცემლობისთვის, უძრავი ქონების შეძენის შესაძლებლობა ინდივიდუალური და ერთობლივი თავყვანისცემისათვის, იეჰოვას მოწმეთათვის ბიბლიების და ღვთის მსახურების ლიტერატურის შემოტანისათვის და ასევე ჰუმანიტარული დახმარების შემოტანისათვის.

მოპასუხეები თვლიან, რომ საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება უკანონოა და უნდა გაუქმდეს და შეიცვალოს ახალი გადაწყვეტილებით შემდეგ გარემოებათა გამო:

ა. კასაციის მიზეზები

1. სააპელაციო პალატამ გააუქმა მოპასუხე ორგანიზაციათა რეგისტრაციები საფუძვლებით, რომლებიც არ არის გათვალისწინებული კანონით.

თბილისის საოლქო სასამართლომ გააუქმა მოპასუხე ორგანიზაციათა რეგისტრაცია მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ ისინი ისახავენ რელიგიურ მიზნებს. სასამართლოს მოტივაცია მდგომარეობს იმაში, რომ ამჟამად საქართველოს კანონმდებლობით არ

არის პირდაპირ გათვალისწინებული საზოგადოებრივი გაერთიანებების რელიგიური საქმიანობა, ანუ „რაც არ არის ნებადართული, ის აკრძალულია“, ეს კი წარმოადგენს კანონის განმარტებას, რომელსაც მოპასუხეები მიიჩნევენ სრულიად არასწორად (იხ. პ. № 2). ნებისმიერ შემთხვევაში, ეს არ შეიძლება იყოს მოსარჩელის, რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნის დაკმაყოფილების კანონიერი საფუძველი.

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის 6 პ. ნათქვამია, რომ საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერება და აკრძალვა შეიძლება მხოლოდ ორგანული კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერების და მათი აკრძალვის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 და მე-4 მუხლებში (იხ. დანართი №1), რომელიც მისი 1 მუხლის თანახმად ვრცელდება მოპასუხე ორგანიზაციებზე, მოყვანილია ამ შემთხვევების ამომწურავი სია.

1. ეს კანონი განსაზღვრავს კავშირის, ფონდის, პროფესიული კავშირისა და სხვა საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერების და მათი აკრძალვის საფუძველებსა და წესს.
3. 1. სასამართლოს შეუძლია 3 თვემდე ვადით შეაჩეროს იმ საზოგადოებრივი გაერთიანების საქმიანობა, რომელიც არსებითად გადავიდა სამეწრმეო საქმიანობაზე.
2. სასამართლოს მიერ საზოგადოებრივი გაერთიანების საქმიანობის შეჩერების ვადის გასვლის შემდეგ საზოგადოებრივი გაერთიანება კვლავ აგრძელებს საქმიანობას.
4. სასამართლოს შეუძლია აკრძალოს საზოგადოებრივი გაერთიანება, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს, ქმნის ან შექმნილი აქვს შეიარაღებული ფორმირება, ან სასამართლოს მიერ მის საქმიანობის შეჩერების შემდეგ, განახლებს ამ კანონის მე-3 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ საქმიანობას.

სააპელაციო სასამართლოს არც უვარაუდია, რომ მოპასუხე ორგანიზაციები ისახავდნენ ზემოთ ხსენებულ აკრძალულ მიზნებს ან საქმიანობას. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოს არ დაუყენებია ეჭვქვეშ პირველი ინსტანციის მიერ დადგენილი ფაქტი იმის შესახებ, რომ მოსარჩელის ბრალდებები მოპასუხე ორგანიზაციების უკანონო საქმიანობის შესახებ საფუძველ მოკლებულია.

მაგრამ, მიუხედავად სააპელაციო სასამართლოს მიერ მოყვანილი საპირისპირო ფორმალური საფუძველებისა, სასამართლო არ შემოიფარგლა რეორგანიზაციის ან სარეგისტრაციო საბუთებში ცვლილებების შეტანით. მან არაორაზროვნად განუცხადა უარი მოპასუხე ორგანიზაციებს ყოველგვარი იურიდიული სტატუსით არსებობაზე გაერთიანების სახით საქართველოში, განუსაზღვრელ მომავალში და დაასაბუთა თავისი გადაწყვეტილება მხოლოდ იმით, რომ ისინი ისახავენ რელიგიურ მიზნებს. სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ ეს გახდება შესაძლებელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო მიიღებს „სპეციალურ კანონს, რომელიც არეგულირებს რელიგიურ ცხოვრებას“. (იხ. ს. ტ. 3, ფ.)

აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს უკიდურესი გადაწყვეტილება, მოპასუხე ორგანიზაციების ცალმხრივად გაუქმების შესახებ, რელიგიური საქმიანობის

საფუძველზე, არ არის განსაზღვრული კანონმდებლობით და არ არის გამართლებული იმ ფორმალური საფუძველებით, რასაც სასამართლო ეყრდნობოდა.

სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც მას უნდა გამოეყენებინა, კერძოდ კი, საქართველოს ორგანული კანონი საზოგადოებრივი გაერთიანებების საქმიანობის შეჩერების და მათი აკრძალვის შესახებ. ამით მან დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-6 პუნქტი, მე-19 მუხლი 45-ე მუხლთან ერთობლივად, და ასევე ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის (იხ. დანართი №2) მე-9 მ. პ. 2, მე-10.2, მე-11 მ. პ. 2 და 14 მუხლი.

2. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგენს მოპასუხეთა კონსტიტუციურ უფლებებში უკანონო ჩარევას.

მოპასუხეები, ამ პროცესის დასაწყისიდანვე ამტკიცებენ, რომ მოპასუხის სარჩელი წარმოადგენს უხეშ და უპასუხისმგებლო თავდასხმას იეჰოვას მოწმეთა რელიგიურ უმცირესობაზე და მათ უფლებებზე გამოხატონ თავიანთი შეხედულებები და აღიარონ თავიანთი რწმენა სხვებთან ერთად. ამან შექმნა ხელსაყრელი ატმოსფერო მტრობის, ძალადობის და დისკრიმინაციის გაღვივებისა ქალების, ბავშვების და მამაკაცების წინააღმდეგ, რომლებიც ამ სარწმუნოებას ეკუთვნიან. (იხ. დანართი №3). ასეთ ვითარებებში, მოპასუხეები კატეგორიულად არ ეთანხმებიან სასამართლოს, რომ მისი გადაწყვეტილება არ აყენებს ზიანს პირებს, რომლებიც იეჰოვას მოწმეების სარწმუნოებას ეკუთვნიან და მათ კონსტიტუციურ უფლებებს. მოპასუხეთა კანონიერი რეგისტრაციის გაუქმებამ წაართვა მათ შესაძლებლობა ერთობლივად და ინდივიდუალურად მიაღწიონ მიზნებს, რომლებიც აღწერილია ორივე გაერთიანების წესდებაში და განახორციელონ შესაბამისი უფლებები.

კერძოდ, იეჰოვას მოწმეთა კავშირი, წარმოადგენს არა კომერციულ საზოგადოებრივ გაერთიანებას საქართველოს მოქალაქეებისა, რომლებიც იზიარებენ იეჰოვას მოწმეთა რელიგიას. იგი შეიქმნა მათი ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე, რათა იმოღვაწეონ გაერთიანებულად საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, მათ შორის იჯარით აიღონ და შეიძინონ თაყვანისცემის და კონგრესების ადგილები (იხ. ს. ტ. 3 ფ. 91, 92). თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ, რომელიც ჯერ კიდევ არ შესულა კანონიერ ძალაში, უკვე უშუალოდ შელახა იეჰოვას მოწმეთა თავისუფლებაში რელიგიური კონგრესის ჩატარებაზე. 2000 წლის 6 ივლისს ქ. თბილისის პრემიერმა უარი განუცხადა მათ რელიგიური კონგრესის ჩატარებაზე სასამართლო გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. (იხ. დანართი №4)

პენსილვანიის საგუშაგო კოშკის, ბიბლიისა და ტრაქტატების საზოგადოება, რომელიც არა მხოლოდ ოფიციალურად აღიარებულია საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების კოორდინაციის დეპარტამენტის (იხ. საქმის ტ. 2, ფ. 141, 142) მიერ და, საქართველოს მოქალაქეებს, თავისი მოღვაწეობის უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში, გადასცა თითქმის 100 ტონა საკვები და ტანსაცმელი ჰუმანიტარული დახმარების სახით, არამედ ასევე წარმოადგენს ბიბლიების, საგალობლების და საღვთო მსახურების სხვა ლიტერატურის ერთადერთ იმპორტიორს საქართველოში, რომელიც გადასცემს ამ ლიტერატურას იეჰოვას მოწმეებს ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ჯერ არ არის შესული კანონიერ ძალაში, ჩაერთო მათ თავისუფლებაში მიიღონ ინფორმაცია საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე. სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ პერიოდში, საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი უარს აცხადებს გადასცეს საღვთო მსახურების ნებისმიერი ლიტერატურა, რომელიც შემოტანილია იეჰოვას მოწმეთათვის და ამ საჩივრის შემოტანის დღისათვის სიტუაცია არ შეცვლილა. მათ შორის არის ტვირთი, რომელიც მიღებულია 2000 წლის 15 ივლისს და დაკავებულია ფოთის

საზღვაო საბაჟოზე და ასევე 2000 წლის 11 ივლისის მიღებული ტვირთი, რომელიც დაკავებულია თბილისის აეროპორტის საბაჟოზე.

ამიტომ, მოპასუხეები ვერ დაეთანხმებიან სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომ მოპასუხეთა გაერთიანების უფლების გამოყენება მოხდა მათ მიერ „კანონის არასწორად გაგების გამო“, და რომ „რეგისტრაციის გაუქმება არ შეიძლება ახდენდეს გავლენას“ (იხ. ს. ტ. 3, ფ.) მათი აღმსარებლობის თავისუფლებაზე. სრულიად საპირისპიროს ამბობს უშუალოდ მოქმედი კონსტიტუციური უფლება საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნაზე, რომლებიც ისახავენ რელიგიურ მიზნებს. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგენს ამ უფლებებში პირდაპირ ჩარევას. ეს გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის 26 მუხლის 1 პუნქტის 1-დან, მე-19, 38-ე მუხლის 1 პუნქტის 45-ე მუხლთან ერთობლივად:

26.1. ყველას აქვს საზოგადოებრივი გაერთიანების, მათ შორის პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება.

19. 1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის და რწმენის თავისუფლება.

2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.

3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.

38.1. საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ.

45. კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე.

საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო სამართლის შესაბამისი ნორმები მოცემულია ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციაში. ადამიანის უფლებების ევროპის სასამართლომ, თავის 1998 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებაში, საქმეზე, სიდროპოპოლოსი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ (იხ. დანართი №5), კატეგორიულად განაცხადა, რომ:

„ასოციაციის დაფუძნების უფლების გამონაკლისების ინტერპრეტაცია დიდი სიფრთხილით უნდა მოხდეს ისე, რომ მათი ჩამონათვალი წარმოდგენილი უნდა იყოს ძალზედ დატალური სახით და მათი განმარტებაც აუცილებლად კონკრეტული უნდა იყოს...“

„სასამართლო აღნიშნავს, რომ ასოციაციის შექმნის უფლება წარმოადგენს მე-11 მუხლში დაცული უფლების ხელშეუვალ ნაწილს მაშინაც კი, თუ ეს მუხლი მხოლოდ ზუსტ მითითებას აკეთებს პროფესიული კავშირების შექმნის უფლებაზე. ის, რომ მოქალაქეებს უნდა შეეძლოთ იურიდიული პირის ფორმირება ურთიერთმისაღებ სფეროში კოლექტიური საქმიანობის განხორციელების მიზნით შარმოადგეს ასოციაციის დაარსების ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტს, რომლის გარეშეც ეს უფლება ყოველგვარ მნიშვნელობას დაკარგავდა. ის ფორმა, რომლითაც ეს უფლება დაცულია

ეროვნულ კანონმდებლობაში და ხელისუფლების ორგანოების მიერ მისი პრაქტიკული გამოყენების რეალობა ავლენს იმას, თუ რამდენად დემოკრატიულია ესა თუ ის სახელმწიფო..."

გაერთიანების თავისუფლება წარმოადგენს აღმსარებლობის და გამოხატვის თავისუფლების განუყოფელ ნაწილს. ევროპის კონვენციის მე-9 მ. პ. 1, მე-10 მ. პ. 1, მე-11 მ. პ. 1, მე-14 მუხლთან ერთობლივად და 1996 წლის ეუთო-ს ქვეყნების წარმომადგენლების, რომელშიც შედის საქართველოც, ვენის შეხვედრის დასკვნითი ოქმის (იხ. დანართი №6)16 მუხლის მე-4, და მე-9 პუნქტებში ნაჩვენებია:

9. ყველას აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება; ეს უფლება მოიცავს რელიგიის და რწმენის გაცვლის თავისუფლებას მარტო თუ სხვებთან კავშირში და საჯაროდ თუ კერძოდ, თავისუფლებას გამოამჟღავნოს მისი რელიგია ან რწმენა აღმასრებლობით, სწავლებით, რიტუალების შესრულებით და დაცვით.
10. 1. ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლების უფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას ჰქონდეს მოსაზრებანი და მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე.
11. 1. ყველას აქვს უფლება მშვიდობიანი შეკრებებისა და სხვებთან გაერთიანებების თავისუფლებაზე, რაც მოიცავს ადამიანის უფლებას შექმნას და გაერთიანდეს პროფკავშირებში თავისი ინტერესების დასაცავად.
14. ამ კონვენციაში მოცემული უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენება უზრუნველყოფილი იქნება ყველასათვის ნებისმიერ საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე ... რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების გამო...
16. პიროვნების თავისუფლების და საკუთარი რელიგიის აღიარების თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით, მონაწილე სახელმწიფოები, სხვა დანარჩენთან ერთად:
 3. მათი თხოვნით, მორწმუნეთა გაერთიანებებს, მათ ვინც აღიარებს ან მზად არის აღიაროს თავისი რწმენა სახელმწიფოს კონსტიტუციურ ფარგლებში, უზრუნველყოფენ სტატუსის მიღებით, რომელიც გათვალისწინებულია მათთვის შესაბამის ქვეყნებში.
 9. პატივი სცენ მორწმუნეთა და მორწმუნეთა გაერთიანებების უფლებას, შეიძინონ და გამოიყენონ წმინდა წიგნები, რელიგიური გამოცემები მათ მიერ შერჩეულ ენაზე, და სხვა საგნები და მასალები, რომლებიც ეხება მათი რელიგიის და რწმენის აღიარებას, და ფლობდნენ მათ.

ე. ი. სასამართლოს განცხადება იმის შესახებ, რომ გაერთიანების თავისუფლების კონსტიტუციური უფლება გამოყენებულ იქნა არასწორად, არ შეესაბამება სინამდვილეს. კონსტიტუციურ და საერთაშორისო სამართლის ნორმებთან ერთობლიობაში განხილვისას, იგი, მოიცავს უფლებას დაარსონ იურიდიული პირი და იმოღვაწეონ გაერთიანებულად რელიგიური მიზნების მისაღწევად.

ამგვარად, სასამართლოს განცხადება იმის თაობაზე, რომ „რეგისტრაციის -არ არსებობით ვერ შეიღებება კონსტიტუციის მე-19 მუხლით აღიარებული უფლება, რადგან აღმსარებლობის და რწმენის თავისუფლება, თავის -უფალი- დან გამომდინარე, ყველა ადამიანის ასარაჩევია და მასზე რეგისტრაციის არსებობა ან მისი გაუქმება არ შეიძლება ახდენდეს გავლენას"(იხ. ს. ტ. 3, ფ.), ამახინჯებს თვით აღმსარებლობის თავისუფლების არსს. აღმასარებლობის თავისუფლებაში შედის რელიგიის ან რწმენის გამოხატვის თავისუფლება, როგორც ერთპიროვნულად, „ასევე

სხვებთან კავშირში...". საქართველოს კონსტიტუცია ავრცელებს რელიგიის თავისუფლებას ასევე იურიდიულ პირებზე, რომლებშიც გაერთიანებლნი არიან საქართველოს მოქალაქეები, რათა გამოხატონ თავიანთი რელიგიური მრწამსი „სხვებთან კავშირში“.

საქართველოს ეროვნული კანონმდებლობა განამტკიცებს ამ თავისუფლებას დემოკრატიული გზით, 1997 წლის 25 ნოემბრის სამოქალაქო კოდექსის მეშვეობით. (იხ. პ. № 3) იეპოვას მონმეებმა საქართველოში სწორად განახორციელეს ეს თავისუფლება, კავშირის და წარმომადგენლობის რეგისტრაციის გზით, სსკ 31 და 28 მუხლების შესაბამისად.

საქართველოს სასამართლოების მიერ ამ კანონის პრაქტიკული გამოყენება შეესაბამება დემოკრატიის პრინციპებს. მოპასუხეებმა წარუდგინეს სასამართლოს საბუთები, რომლებიც ადასტურებენ საქართველოს სასამართლოების მიერ, სამოქალაქო კოდექსის მიღების შემდეგ, არანაკლებ 16 ასეთი კავშირის და წარმომადგენლობის რეგისტრაციას, რომლებიც შექმნილია სხვადასხვა სარწმუნოების, მათ შორის მართლმადიდებელ მოქალაქეთა ჯგუფების მიერ, რელიგიური მიზნების მისაღწევად. (იხ. საქმის ტ. 2, ფ. 144-148)

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რეგისტრაციის გაუქმების შესახებ, წარმოადგენს უკანონო ჩარევას მოპასუხეთა კონსტიტუციურ უფლებებში გაერთიანების, გამოხატვის და აღმსარებლობის თავისუფლებაზე. ეს ასევე წარმოადგენს უკანონო დისკრიმინაციას რელიგიური ნიშნით. ეს კი არღვევს ევროპის კონვენციის მე-14 მუხლს ერთობლივად მე-9, 10 და 11 მუხლებთან. ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვება, გამოიწვევს რელიგიური ორიენტაციის მქონე, კანონიერად რეგისტრირებული მრავალი ორგანიზაციის ლიკვიდაციას.

3. სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს კანონმდებლობა, იმ გაგებით, რომ მოპასუხე ორგანიზაციათა არსებული სამართლებრივი სტატუსი არ იძლევა რელიგიური საქმიანობის უფლებას.

თბილისის საოლქო სასამართლო, აღიარებს რა კერძო პირის აღმსარებლობის თავისუფლების კონსტიტუციურ უფლებას, მივიდა სრულიად უსაფუძვლო და დაუსაბუთებელ დასკვნამდე, რომ რელიგიური საქმიანობა „არ შეიძლება იყოს კერძო სამართლის იურიდიული პირის მიზნები“. (იხ. ს. ტ. 3, ფ.) სწორედ ამ საფუძველზე, სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე ორგანიზაციათა რეგისტრაცია უნდა გაუქმდეს. ამის მიზეზი გახდა სასამართლოს მიერ სსკ-ის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ საქართველოს კანონის და საქართველოს კონსტიტუციის არასწორი განმარტება და გამოყენება.

მოპასუხეები აღნიშნავენ, რომ ქვემოთ მოყვანილი იურიდიული არგუმენტაცია, რომელიც სასამართლომ თავისი ინიციატივით გამოიყენა თავის გადაწყვეტილებაში, არასოდეს ყოფილა მსჯელობის საგანი სხდომის დროს და ამის შესახებ არაფერი უხსენებია მოსარჩელეს თავის სააპელაციო საჩივარში ან ნებისმიერ სხვა დროს ამ პროცესზე. ამით დაირღვა მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი, რომელიც განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის 85 მ. პ. 3 და სსსკ მე-4 მ. ამიტომ, მოპასუხეებს პირველად უწევთ პასუხის გაცემა კანონის ამ კონკრეტულ პუნქტებზე ამ სასამართლოს წინაშე.

ა) პირველი - სსკ 1509 მ. 1პ. „ე“ ქვეპუნქტი გახდა სასამართლოს დასაყრდენი პუნქტი:

1509. 1. სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად ითვლებიან:

ე. საჯარო მიზნების მისაღწევად კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციები (პოლიტიკური პარტიები, რელიგიური გაერთიანებები და სხვა)

სასამართლომ შეცდომით გამოიყენა სსკ 1509 მუხლის 1 პ. „ე“ ქვეპუნქტი, იმ გაგებით, რომ გაერთიანებამ შეიძლება დაისახოს რელიგიური მიზნები, მხოლოდ სპეციალური კანონის საფუძველზე, ხოლო რადგან ასეთი კანონი საქართველოში დღეისათვის არ არსებობს, მოპასუხეთა რეგისტრაცია უნდა გაუქმდეს. როგორც აღნიშნულია ზემოთ, პუნქტში № 2, ეს განმარტება ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, და ამიტომ არღვევს სსკ მე-2 მ. პ. 1 და მ. 4 პ. 1:

2. 1. სამოქალაქო კოდექსი, კერძო სამართლის სხვა კანონები და მათი განმარტებები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციას.
4. 1. სასამართლოს არა აქვს უფლება უარი თქვას სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ სამართლის ნორმა არ არსებობს, ან იგი ბუნდოვანია.

ამიტომ, სსკ 1509 მ. 1 პ. „ე“ ქვ პ-ის გამოყენების დროს, სააპელაციო სასამართლო, კანონის შესაბამისად, ვალდებული იყო, განემარტა ეს პუნქტი მოპასუხეთა კონსტიტუციურ უფლებებთან მიმართებაში, რადგან კონსტიტუციური უფლებები და საერთაშორისო სამართლის ნორმები, რომლებზედაც საუბარია ზემოთ, პუნქტში №2, არ მოითხოვენ დაკონკრეტებას, და როგორც გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის 6, 7 და 39 მუხლებიდან, წარმოადგენენ უშუალოდ მოქმედ სამართალს და მათ აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ, ისინი უნდა უზრუნველყოფილ იქნან მიუხედავად იმისა, არსებობს სპეციალური კანონი რელიგიის შესახებ, თუ არა.

6. 1. საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას.
2. საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.
7. სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.
39. საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის პრინციპებიდან.

სააპელაციო სასამართლოს განმარტება, იმის თაობაზე, რომ მოპასუხე ორგანიზაციებს ეკრძალებათ რელიგიური საქმიანობის დასახვა სსკ 1509 მ. 1 პ. „ე“ ქვეპუნქტით ასევე სრულიად ეწინააღმდეგება სს კოდექსს მთლიანობაში და თვით საჯარო და კერძო სამართლის გაგებას. სსკ-ის გარდამავალი დებულებების ეს მუხლი, თუმცა აძლევს სახელმწიფოს საფუძველს, შექმნას რელიგიური გარეთიანება, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, მაგრამ აღნიშნული მუხლის არსებობა არ არის

განზრახული იმისთვის, რომ მოქალაქეთა კავშირებს აუკრძალოს რელიგიური მიზნების დასახვა. ეს გამომდინარეობს სსკ მე-10 მ. 1, 2 პპ. და 25-ე მ. პ. 2-დან:

10. 1. სამოქალაქო უფლებათა განხორციელება არ არის დამოკიდებული პოლიტიკურ უფლებებზე, რომლებიც განისაზღვრება კონსტიტუციით ან საჯარო სამართლის სხვა კანონით.
2. სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოქმედება.
25. 2. კერძო სამართლის იურიდიულ პირს (სამენარმეოსა თუ არასამენარმეოს) უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა წესდებაში გათვალისწინებული.

მაგალითად, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად ასევე ითვლებიან კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციები, სოციალური, საგანმანათლებლო ან კულტურული მიზნების მისაღწევად. მაგრამ ეს, არავითარ შემთხვევაში არ ართმევს მოქალაქეებს უფლებას, შექმნან კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ისახავს სოციალურ, საგანმანათლებლო ან კულტურულ მიზნებს.

ამდენად, იმის მტკიცება, რომ რელიგიური საქმიანობა „არ შეიძლება იყოს კერძო სამართლის იურიდიული პირის მიზნები“ არ ემყარება კანონს. მოპასუხე ორგანიზაციათა საწესდებო მიზნები სრულიად შეესაბამება მათ ამჟამინდელ, რეგისტრირებულ სტატუსს, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები. როგორც აღნიშნული იყო პ. № 2, ამას ადასტურებს სასამართლო პრაქტიკა. არ არსებობს არავითარი საფუძველი იმის მტკიცებისა, რომ მათი რეგისტრაცია უკანონოა და უნდა გაუქმდეს.

ბ) მეორე - სააპელაციო სასამართლომ ასევე არასწორად გამოიყენა სსკ 24-ე მ. 3 პ. და 25 -ე მ. 1 პ.

24. 3. საჯარო სამართლის იურიდიული პირები სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები. მათი შექმნის, ორგანიზაციისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით.
25. 1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი უფლებამოსილია განახორციელოს კანონში ან მის დამფუძნებელ დოკუმენტებში გათვალისწინებული მიზნების შესაბამისი საქმიანობა.
2. კერძო სამართლის იურიდიულ პირს (სამენარმეოსა თუ არასამენარმეოს) უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა წესდებაში გათვალისწინებული.

როგორც კონტექსტიდან ჩანს, ეს მუხლები მხოლოდ განსაზღვრავენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, როგორც იურიდიული პირის სპეციალურ სახეს, რომელიც იქმნება გარკვეული კანონის საფუძველზე. მაგრამ, კერძო სამართლის იურიდიული პირისგან განსხვავებით, იგი შეზღუდულია იმ საქმიანობით, რომელიც გათვალისწინებულია ამ კანონით და მისი წესდებით. ეს მუხლები არავითარ შემთხვევაში არ ზღუდავენ კერძო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობას და არ მოითხოვენ, რომ მოპასუხეთა ორგანიზაციები გატარდნენ რეგისტრაციაში, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირები.

გ) მესამე - სასამართლომ არასწორად გამოიყენა კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ.

იმდენად, რამდენადაც მოპასუხე ორგანიზაციები ფაქტობრივად წარმოადგენენ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, 1999 წლის 28 მაისის კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ (იხ. დანართი №7) მათზე არ ვრცელდება. ეს კანონი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდეგი საფუძვლების გამო:

i. მოპასუხეთა ორგანიზაციები გატარდნენ რეგისტრაციაში 1998 წლის 17 აპრილს და 11 ივნისს, ე. ი. ამ კანონის ძალაში შესვლამდე ერთი წლით ადრე. ამიტომ მისი გამოყენება იმის მტკიცების საფუძვლად, რომ მოპასუხეებმა უკანონოდ განახორციელეს რეგისტრაცია და მისი გამოყენება მოპასუხეთა რეგისტრაციის გაუქმების საფუძვლად, არღვევს სსკ მე-6 მუხლს:

6. კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს არა აქვთ უკუქცევითი ძალა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს პირდაპირ არის კანონით გათვალისწინებული. არ შეიძლება კანონს მიეცეს უკუქცევითი ძალა, თუ იგი ზიანის მომტანია ან აუარესებს პირის მდგომარეობას.

ii. ეს კანონი, საჯარო სამართლის იურიდიული პირის შექმნის ინიციატივის (მ. 5) და გაკონტროლების („ეფექტიანობისა“ და საფიანასო-ეკონომიკურ საქმიანობაზე) (მ. 11) უფლებას აძლევს მხოლოდ სახელმწიფოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს. ამდენად, ნებისმიერი მტკიცება იმისა, რომ მოპასუხეთა ორგანიზაციებს შეუძლიათ გაიარონ რეგისტრაცია ამ კანონის შესაბამისად, არის შეუთავსებელი აღმსარებლობის და გაერთიანებების თავისუფლებასთან და ასევე სსკ მე-10 მ. 1 პ-თან, სადაც ნათქვამია:

10. 1. სამოქალაქო უფლებათა განხორციელება არ არის დამოკიდებული პოლიტიკურ უფლებებზე, რომლებიც განისაზღვრება კონსტიტუციით ან საჯარო სამართლის სხვა კანონით.

iii. თვით ამ კანონში არ არის არავითარი მითითება რელიგიურ საქმიანობაზე და მიზნებზე. (იხ. პ. „ბ“)

მაშასადამე, საქართველოს კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ, არ შეიძლება გამოყენებულ იქნას მოპასუხე ორგანიზაციების მიმართ და მითუმეტეს წარმოადგენდეს მათი რეგისტრაციის გაუქმების საფუძველს.

დ) მეოთხე - სასამართლომ არასწორად გამოიყენა სსკ 30 მუხლი და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 17 მაისის დადგენილება № 372.

პენსილვანიის საგუშაგო კოშკის, ბიბლიისა და ტრაქტატების საზოგადოების წარმომადგენლობის რეგისტრაციის გაუქმებისას, სასამართლომ განაცხადა, რომ „სსკ 30 მუხლით, იურიდიული პირი, რომლის მიზანს არ შეადგენს სამეწარმეო საქმიანობა, შეიძლება არსებობდეს კავშირის ან ფონდის სახით, ამდენად, წარმომადგენლობას, როგორც კერძო სამართლის სუბიექტს, სამოქალაქო კანონმდებლობა არ იცნობს“. (იხ. ს. ტ. 3, ფ.)

იმის მტკიცება, რომ სამოქალაქო კანონმდებლობა „წარმომადგენლობას, როგორც კერძო სამართლის სუბიექტს არ იცნობს“, არის აბსურდული, რადგან სსკ მე-8 მ. გვიჩვენებს, რომ, ყველა იურიდიული და ფიზიკური პირი, მიუხედავად მისი სამართლებრივი სტატუსისა და წარმოშობის ქვეყნისა, შეიძლება იყოს კერძო სამართლის სუბიექტი. მაგრამ, იმის დაშვება, რომ სასამართლო გულისხმობდა, იმას, რომ წარმომადგენლობას არ გააჩნია კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი,

არ არის საკვირველი, რადგან, სსკ 28-ე მუხლის თანახმად წარმომადგენლობა, „ფილიალი“ საერთოდ არ წარმოადგენს დამოუკიდებელ იურიდიულ პირს:

28.1. იურიდიული პირის ფილიალი - განცალკევებული ქვედანაყოფი, რომელიც მდებარეობს იურიდიული პირის ადგილსამყოფელის გარეთ, მთლიანად ან ნაწილობრივ წარმოადგენს ან ახორციელებს მის ფუნქციებს.

2. ფილიალი არ არის იურიდიული პირი. იგი საქმიანობას ეწევა იურიდიული პირის მიერ დამტკიცებული აქტის საფუძველზე.

ამგვარად, წარმომადგენლობა წარმოადგენს მხოლოდ იურიდიული პირის ნაწილს, რომელიც მას ხელმძღვანელობს და გამოხატავს მის სამართლებრივ სტატუსს. იმდენად, რამდენადაც 1993 წლის დადგენილება (იხ. დანართი №8), რომელსაც დაეყრდნო სასამართლო, არ ვრცელდება ყველა იურიდიულ პირზე, არამედ მხოლოდ უცხოეთის საზოგადოებრივ გაერთიანებებსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე, პენსილვანიის საგუშაგო კოშკის, ბიბლიის და ტრაქტატების საზოგადოების შესაბამისი სამართლებრივი სტატუსი, საქართველოს კანონმდებლობის თვალსაზრისით, არის განმსაზღვრელი იმისათვის, რომ გადაწყდეს საკითხი, თუ რამდენად სწორად იყო საგუშაგო კოშკის საზოგადოების მიერ განხორციელებული მისი წარმომადგენლობის რეგისტრაცია საქართველოში 1993 წლის დადგენილების შესაბამისად.

აი სად დაუშვა სააპელაციო სასამართლომ შეცდომა. სასამართლომ დაადგინა, რომ საზოგადოება წარმოადგენს „რელიგიურ გაერთიანებას და საჯარო სამართლის სუბიექტს“ და ამიტომ მისი, როგორც კერძო სამართლის სუბიექტად რეგისტრაცია „კანონშეუსაბამოა და უნდა გაუქმდეს“. (იხ. ს. ტ. 3, ფ.) ამ გარემოებებს, მიუხედავად იმისა, შეესაბამებოდა თუ არა ისინი სინამდვილეს, არა აქვთ არავითარი მნიშვნელობა. 1993 წლის დადგენილება საერთოდ არ აკეთებს განსხვავებას კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს შორის. 1993 წლის დადგენილება ასევე არ უშვებს არანაირ გამონაკლისს რელიგიური მიზნების გამო. იგი ვრცელდება ყველა უცხოეთის საზოგადოებრივ გაერთიანებებზე, და ამიტომ, ეს გარემოებანი თავის თავად ვერ იქნებიან დაბრკოლებად საზოგადოების წარმომადგენლობის რეგისტრაციისათვის, 1993 წლის დადგენილების შესაბამისად.

რასაც ნამდვილად აქვს მნიშვნელობა, ეს არის საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა საქართველოს კანონმდებლობის თვალსაზრისით. ეს განპირობებულია სს კოდექსით, რომელიც ძალაში შევიდა 1997 წლის 25 ნოემბერს და რომელმაც დაადგინა ახალი ნორმები, რომლებიც ეხება საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ საზოგადოებრივი გაერთიანებების ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს, რეგისტრაციას და საქმიანობას, და გადასცა სახელმწიფო კონტროლი და ზედამხედველობა ზოგიერთ მათგანზე სასამართლოებს. ამას ცხადყოფს სსკ 1511 მ. პ. 1, 1510 მ. და 31 მ. პ.1 (იხ. ასევე სსკ 34, 35 და 1520 მუხლები):

1511.1. სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის საფუძველზე შექმნილი არაკომერციული იურიდიული პირები ექვემდებარებიან ხელახალ რეგისტრაციას 1999 წლის 1 იანვრამდე; აღნიშნული იურიდიული პირები ხელახალ რეგისტრაციას ექვემდებარებიან ამ ვადამდე იმ შემთხვევაშიც, თუ მათი დამფუძნებლები ან წევრები მიიღებენ გადაწყვეტილებას წესდებაში ან სხვა დამფუძნებელ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

1510. სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებიდან კერძო სამართლის ყველა არაკომერციული იურიდიული პირი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ კავშირის ან ფონდის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით.

31. 1. კავშირის რეგისტრაციას ახორციელებს სასამართლო, ხოლო ფონდისას - იუსტიციის სამინისტრო.

საგუშაგო კოშკის, ბიბლიის და ტქრაქტატების საზოგადოების შესაბამისი სამართლებრივი სტატუსი, საქართველოს კანონმდებლობის თვალსაზრისით, ნათლად ჩანს ისან-სამგორის რაიონული სასამართლოს 1998 წლის 11 ივნისის დადგენილებიდან, მისი წარმომადგელობის რეგისტრაციის შესახებ. (იხ. საქმის ტ. 3 ფ. 76) საზოგადოება, აშშ -ს კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოადგენს არა კომერციულ იურიდიულ პირს. (როგორც საქართველოში, ასევე აშშ-ში არ არსებობს სპეციალური კანონი, რომელიც არეგულირებს რელიგიური ორგანიზაციების შექმნას).

შემდგომ, საზოგადოების წესდება, ცხადყოფს, რომ იგი შედგება 300-500 წევრისაგან, რომლებიც ისახავენ საერთო მიზანს და მისი არსებობა დამოუკიდებელია მასში წევრთა შემადგენლობის ცვლილებებისაგან. (იხ. საქმის ტ. 3 ფ. 86) ამიტომ, წარმომადგენლობის რეგისტრაციის მომენტისათვის, აღნიშნული საზოგადოების სამართლებრივი სტატუსი, საქართველოს კანონმდებლის თვალსაზრისით შესაბამებოდა კავშირს, სსკ 1510 და 30 მუხლების თანახმად:

1510. სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებიდან კერძო სამართლის ყველა არა კომერციული იურიდიული პირი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ კავშირის ან ფონდის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით.

30. 1. იურიდიული პირი, რომლის მიზანსაც არ შეადგენს სამეწარმეო საქმიანობა, შეიძლება არსებობდეს როგორც კავშირი (ასოციაცია) ან ფონდი. სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც ატარებს დამხმარე ხასიათს და ემსახურება საერთო მიზანს, არ ცვლის არაკომერციული იურიდიული პირის ხასიათს...

2. კავშირი არის იურიდიული პირი, რომელშიც საერთო მიზანს ისახავს რამდენიმე პირი და მისი არსებობა დამოუკიდებელია მასში წევრთა შემადგენლობის ცვლილებებისაგან. კავშირის დასაფუძნებლად აუცილებელია ხუთი დამფუძნებელი წევრი მაინც.

3. ფონდი არის იურიდიული პირი, როცა ერთი ან რამოდენიმე დამფუძნებელი სპეციალურ ქონებას საერთო-საზოგადო სასარგებლო მიზნის მისაღწევად საკუთრებად გადასცემს დამოუკიდებელ სუბიექტს, რომელსაც არა ჰყავს წევრები.

რადგან კავშირი წარმოადგენს საზოგადოებრივი გაერთიანების ნაირსახეობას, საზოგადოების წარმომადგელობა ექვემდებარებოდა რეგისტრაციას 1993 წლის დადგენილების შესაბამისად. ეს სტატუსი ასევე მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრისათვის, თუ სად უნდა გაეტარებინა საზოგადოებას თავისი წარმომადგენლობის რეგისტრაცია, რადგან სახელმწიფო კონტროლი და ზედამხედველობა საზოგადოებრივ გაერთიანებებზე, კავშირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, სსკ თანახმად გადავიდა მთლიანად სასამართლოს კომპეტენციაში.

სს კოდექსს, როგორც კანონს, აქვს უპირატესი ნორმატიული ძალა 1993 წლის დადგენილებასთან და მან დაადგინა ახალი სპეციალური ნორმები, სხვადასხვა სახის საზოგადოებრივ გაერთიანებათა მიმართ, და დაანესა სახელმწიფო კონტროლი და ზედამხედველობა მათ საქმიანობაზე, განსხვავებული იმისგან, რაც იყო 1993 წლის

დადგენილების მიღების დროს. ამიტომ, ყველა პარამეტრებით 1993 წლის დადგენილების მე-4 პუნქტი ვერ გავრცელდება საზოგადოებაზე, მისი ქვედანაყოფის (წარმომადგენლობის) რეგისტრაციის ნაწილში იუსტიციის სამინისტროში, ვინაიდან ეს საკითხები აღარ შედის იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში სსკ მე-2 მ. პ. 3 და 1506 მ. თანახმად.

2. 3. სამოქალაქო ურთიერთობების მოსაწესრიგებლად კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი ავსებენ კანონის ნორმებს. თუ ეს აქტები ეწინააღმდეგება კანონს, მოქმედებს კანონი.

1506. 1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს ყველა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლებიც არ შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო კოდექსს.

2. სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის ან ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გამოცემული ნორმატიული აქტები ჩაითვლება ძალადაკარგულად, თუ ისინი განსხვავებულად აწესრიგებენ სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებულ ურთიერთობებს.

ამას ადასტურებს სასამართლო პრაქტიკა. მოპასუხებმა წარუდგინეს სასამართლოს წუსხა, სადაც ნაჩვენებია, რომ ასეთი საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენლობები გადიან რეგისტრაციას სასამართლოებში, სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლის დღიდან. (იხ. დანართი №9 და საქმის ტ. 2, ფ. 144-148). ამდენად სააპელაციო სასამართლოს საწინააღმდეგო მოსაზრება ემყარება იმას, რომ მან არ გამოიყენა დაქვემდებარების შესაბამისი წესები, რომლებიც ძალაში შემოიღო სს კოდექსმა.

ნებიმსმიერ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რეგისტრაციის ცალმხრად გაუქმების შესახებ არ ემყარება კანონს. თუ კი სააპელაციო სასამართლო თვლიდა, რომ სარეგისტრაციო სასამართლო, საზოგადოების წარმომადგენლობის რეგისტრაციის დროს გასცდა თავისი კომპეტენციის ფარგლებს, მას უნდა გამოეყენებინა კანონის ანალოგია და სსკ 347 და 348 მუხლების თანახმად შეეტყობინებინა სარეგისტრაციო სასამართლოსათვის, რათა მას მიეღო შესაბამისი ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს არ გააჩნდა არავითარი საფუძველი პენსილვანიის საგუშაგო კოშკის, ბიბლიისა და ტრაქტატების საზოგადოების საქართველოს წარმომადგენლობის რეგისტრაციის გაუქმებისათვის, მითუმეტეს რელიგიის საფუძველზე. ეს გადაწყვეტილება, თუ იგი დარჩა ძალაში, გამოიწვევს კანონიერად რეგისტრირებული უცხოეთის იურიდიული პირების ფილიალების რეგისტრაციების გაუქმებას.

ე) ბოლოს, სასამართლომ არასწორად გამოიყენა საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლი.

მოპასუხეთა რეგისტრაციის გაუქმების გამართლებისას, სასამართლომ მოიშველია საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლი და საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის რეგისტრაციის არ არსებობა.

9. სახელმწიფო აღიარებს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში, ამასთან ერთად აცხადებს რწმენის და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ეკლესიის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან.

მოპასუხეები არასოდეს აყენებდნენ ეჭვქვეშ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის როლს საქართველოს ისტორიაში. ისინი ასევე არ უარყოფენ მართლმადიდებლური მორწმუნების უფლებას შექმნან თავიანთი იურიდიული პირები, რათა დაისახონ რელიგიური მიზნები. მოპასუხებმა წარუდგინეს ასეთი იურიდიული პირების არსებობის მტკიცებულებანი სასამართლოს. (იხ. საქმის ტ. 2 ფ. 144-148)

მაგრამ, იმის მტკიცება, რომ სახელმწიფოს მიერ აღიარებულ ეკლესიას არ გააჩნია სამართლებრივი სტატუსი, არასწორია. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის კანონიერი უფლება, იმოქმედოს როგორც დამოუკიდებელმა პირმა იმავე მიზნების მისაღწევად, რომლებსაც ისახავენ მოპასუხეები (რელიგიური შეხვედრები, თაყვანისცემის ადგილების შექმნა და მშენებლობა, საღვთო მსახურების ლიტურატიურის და ჰუმანიტარული დახმარების შემოტანა), როგორც საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარეობს, უეჭველად არსებობს. უარის თქმა იეპოვას მონმეთათვის „...რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებაზე...“ მათი კანონიერი სტატუსის გაუქმებით ამ საფუძველზე, წარმოადგენს აშკარა დისკრიმინაციას. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უარს ეუბნება რელიგიურ უმცერესობას იმ უფლებებში, რომლებიც გააჩნია რელიგიურ უმრავლესობას.

ბ) საკასაციო განცხადება

სსსკ-ის 393 მუხლის, 396 მ. 1პ. „ე“ ქვბ. და 411 მ. საფუძველზე მოპასუხეები ითხოვენ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას და მისი ახალი გადაწყვეტილებით შეცვლას, რომლითაც, მოსარჩელეს უარი ეთქვას მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

393. 1. საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი.

2. სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ:

- ა) არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა;
- ბ) გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა;
- გ) არასწორად განმარტა კანონი.

3. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

411. საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ საქმის გარემოებები სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშეა დადგენილი და საჭირო არ არის მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

მოპასუხეები თვლიან, რომ გარემოებები, რომლებიც აუცილებელია საქმეზე სწორი გადაწყვეტილების გამოტანისთვის, დადგენილ იქნა ქვემდგომი სასამართლოების მიერ და ამიტომ საჭირო არ არის მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველი გახდა კანონის არასწორი განმარტება და გამოყენება. ეს ნათლად ჩანს შემდეგიდან:

1. ორივე ქვემდგომი სასამართლო იხილავდა ყველა საკითხს, რასაც მნიშვნელობა ჰქონდა საქმისათვის და აუცილებელი იყო საქმეზე სწორი გადაწყვეტილების გამოტანისათვის.

სააპელაციო სასამართლომ მისცა რა გარემოებათა, პირველი ინსტანციის სასამართლოსაგან განსხვავებული შეფასება, მან არასწორად წარმოადგინა პირველი ინსტანციის მიერ საქმის წარმოება: „მოსამართლემ არ შეაფასა უმთავრესი მტკიცებულებანი, კერძოდ... - წესდება და დადგენილება, რომელთა გაუქმებასაც მოითხოვდა მოსარჩელე. თავად გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში არაფერია ნათქვამი რეგისტრაციის და წესდების შესაბამისობაზე მოქმედ კანონმდებლობასთან".(იხ. ს. ტ. 3, ფ.)

ისან-სამგორის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება, სააპელაციო სასამართლოს განცხადების საპირისპიროდ, გვიჩვენებს, რომ მოსამართლემ განიხილა მოპასუხეთა რეგისტრაცია და სანესდებო მიზნები: (იხ. საქმის ტ. 2, ფ. 211, 212, 215, 216)

„სასამართლომ გამოარკვია: თბილისის ისნის რაიონის სასამართლომ 1998 წლის 17 აპრილს რეგისტრაციაში გაატარა „იეჰოვას მოწმეების კავშირი“ და 1998 წლის 11 ივნისს „პენსილვანიის (აშშ) საგუშაგო კოშკის, ბიბლიის და ტრაქტატების საზოგადოების“ წარმომადგენლობა საქართველოში. რეგისტრაციის WW 7/9-5 და 7/10-1. რეგისტრირებული კავშირის და წარმომადგენლობის მიზნები და ამოცანებია: ხელი შეუწყოს ყველა ადამიანის ზნეობრივ განვითარებას, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა არაკომერციული საქმიანობა; ხელი შეუწყოს ქრისტიანული რელიგიის და ბიბლიის შესწავლის პროცესს ლიტერატურის და სხვა ნაბეჭდი მასალებისა და ჩანაწერების შემოტანის, შენახვის და გავრცელების ღონისძიებებს, კანონით დადგენილი წესით...

... სარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლოა და მოსარჩელეს უნდა ეთქვას უარი შემდეგ გარემოებათა გამო: კავშირის რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება სამოქალაქო კოდექსის 31 მუხლის თანახმად არსებობს მაშინ, როცა კავშირის წესდება შეესაბამება კანონის მოთხოვნებს და იურიდიული პირის მიზნები არ ეწინააღმდეგება მოქმედ სამართალს, ზნეობრივ ნორმებს ან საქართველოს კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრინციპებს.

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის თანახმად ყველას აქვს საზოგადოებრივი გაერთიანების შექმნისა და მასში მონაწილეობის უფლება. ამავე მუხლის 3 პუნქტის თანახმად დაუშვებელია ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ და სოციალურ შუღლს...

... ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ იხელმძღვანელა რა სამოქალაქო სამართლის კოდექსის 35 მუხლით, რომლის თანახმად კავშირის საქმიანობაზე რეგისტრაციას ახორციელებს სახელმწიფო და რეგისტრაცია უნდა გაუქმდეს თუ კავშირი გადავიდა სამენარმეო საქმიანობაზე ან თუ წესდებით გათვალისწინებული მიზნების განხორციელება შეუძლებელი ხდება.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო სამართლის 31 და 35 მუხლებით, სსსკ-ის 243-244 მუხლებით დაადგინა: საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას „ნაციონალური მოძრაობა საქართველო უპირველეს ყოვლისა“-სარჩელეზე „იეჰოვას მოწმეების კავშირის“ და „პენსილვანიის (აშშ) საგუშაგო კოშკის ბიბლიის და ტრაქტატების საზოგადოების“ წარმომადგენლობის-რეგისტრაციების გაუქმების შესახებ, ეთქვას უარი უსაფუძვლობის გამო“.

ამიტომ, იმის მტკიცება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არ განიხილა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა საკითხი, აშკარად არ შეესაბამება სინამდვილეს. ისან-სამგორის რაიონულმა სასამართლომ სწორად დაადგინა, რომ მოპასუხე ორგანიზაციათა რეგისტრაცია და მათი სანესდებო მიზნები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს საპირისპირო გადანყვეტილება ემყარებოდა კანონის არასწორ გაგებას და განმარტებას.

2. ორივე ქვემდგომმა სასართლომ დაადგინა, რომ არ არსებობს რაიმე კანონსაწინააღმდეგო საქმიანობა მოპასუხეთა მხრიდან.

ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილების განხილვისას, სააპელაციო სასამართლოს არ დაუყენებია ეჭვქვეშ ამ სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტი იმის თაობაზე, რომ მოსარჩელის ბრალდებები უკანონო საქმიანობაში, საფუძველს მოკლებულია. პირველი ინსტანციის სასამართლომ დაასაბუთა თავისი გადანყვეტილება სხვადასხვა მტკიცებულებებით: მოწმეთა ჩვენებებით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს და სამართალდამცავი ორგანოების გადანყვეტილებებით, წერილობითი მტკიცებულებებით და ასევე სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტიზის დასკვნით, სადაც ნათქვამია შემდეგი: (იხ. ს. ტ. 2, ფ. 183-186)

პასუხად აღვნიშნავთ, რომ აღნიშნულ ლიტერატურაში არავითარი „ანტი“ ხასიათის მონოდებანი არ არის. საეთოდ არ ეხება სახელმწიფოს, ერისა და მისი მთლიანობის საკითხებს. მასში არ არის გამოვლენილი არავითარი სახის აგრესია. ეს ორგანიზაცია ქრისტიანობის მოძღვრების ერთ-ერთი ინტერპრეტაციაა; იგი ემყარება ბიბლიის თავისებურ გაგებას, რომელიც არ ეხება არც საქართველოს სახელმწიფოებრიობას და არც ქართველ ერს. ბიბლიის მრავალი ინტერპრეტაცია არსებობს და ყველას აქვს არსებობის უფლება. სინდისისა და რწმენის თავისუფლება გარანტირებულია კონსტიტუციით და ეს გარანტია ფორმალური კი არაა, არამედ რეალური. როგორც ჩანს, ზოგიერთებს არ მოსწონთ დემოკრატია და დიქტატურის ნოსტალგია აქვთ. ამ ორგანიზაციათა აკრძალვა გაუქმდა დიქტატურის დამხობის შემდეგ, 1991 წლიდან. თუ რომელიმე ორგანიზაციას ამ გაუქმების აღდგენა სურს, მან ჯერ უნდა დასვას საკითხი კონსტიტუციაში ცვლილებების შესახებ, ამოაღებინოს დებულებები სინდისისა და რწმენის თავისუფლების შესახებ და შემდეგ მოითხოვოს მათი აკრძალვა...

იეჰოვას მოწმეთა კავშირის პრინციპები განსხვავებულია მართმადიდებლობის პრინციპებისაგან, მაგრამ ანტი მართმადიდებლური ისინი არ არიან. ბიბლიის ინტერპრეტაციათა შორის განსხვავება ყოველთვის არსებობდა და იარსებებს. ეს არის და იქნება დიალოგის, კამათისა და დავის საგანი, მაგრამ კამათი და დავა არ უნდა გადაიზარდოს აკრძალვასა და შეურაცხოვაში".

სააპელაციო სასამართლომ, ექსპერტთა დასკვნას მისცა პირველი ინსტანციისაგან განსხვავებული შეფასება. მან ეს გააკეთა სუფთა სამართლებრივი თვალსაზრისით, სსსკ-ის 167 მუხლის თანახმად და ჩათვალა, რომ დასკვნას არ გააჩნია იურიდიული ძალა მხოლოდ პროცესუალური საფუძველების გამო. (იხ. ს. ტ. 3, ფ.)

როგორც არ უნდა იყოს პროცესუალური ხარვეზები, ისინი უვნებელი არიან. აღსანიშნავია, რომ სააპელაციო სასამართლოს არსად დაუყენებია ეჭვქვეშ ექსპერტთა პიროვნება, მათი პროფესიონალიზმი და პატიოსნება. იგი ასევე არ შედავებია ექსპერტთა დასკვნების შინაარსს. სინამდვილეში, სააპელაციო სასამართლო მივიდა იდენტურ დასკვნამდე. სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელის ბრალდებები ემყარება რელიგიური შეხედულებების განსხვავებულობაზე და რომ რეგისტრაციის გაუქმება მხოლოდ ამ საფუძველებზე სრულიად მიუღებელია: (იხ. ს. ტ. 3, ფ.)

„სააპელაციო სასამართლო აღიარებს ყოველი ადამიანის სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის და რწმენის თავისუფლებას, ამდენად გაუმართლებლად მიაჩნია მსჯელობა იეჰოვას მოწმეთა რწმენის შესახებ ... სააპელაციო სასამართლოს მიზანშეუწონლად მიაჩნია მოწინააღმდეგე ორგანიზაციათა რეგისტრაციის გაუქმების საფუძველად მათი რელიგიური მიმდინარეობის განსხვავებული შეხედულებები დაუდოს საფუძველად, რადგან ეს წინააღმდეგობაში მოვა კონსტიტუციით აღიარებულ პრინციპთან“.

რეგისტრაციის გაუქმება სხვადასხვა რელიგიური თვალსაზრისის საფუძველზე ასევე წინააღმდეგობაში მოვა ევროპის კონვენციასთან. თავის 1996 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილებაში, საქმეზე, მანუსაკისი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ დაადგინა: (ს. ტ. 1, ფ. 95, 96)

47. ... რელიგიის თავისუფლება, ისეთი სახით, როგორც იგი გარანტირებულია კონვენციით, გამორიცხავს რაიმე სახის მოქმედების თავისუფლებას მთავრობის მხრიდან იმის განსასაზღვრავად, ითვლება თუ არა, ლეგიტიმურად რელიგიური აღმსარებლობა ან ასეთი აღმსარებლობის გამოსახატავად გამოყენებული საშუალებები.

ამიტომ, სსსკ-ის 393 მ. 3 პ. თანახმად სასამართლოს მიერ დადგენილი პროცესუალური დარღვევები ექსპერტიზის ჩატარებაში, არ შეიძლება იყოს ისან-სამგორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი:

393. 3. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, მოპასუხეები თვლიან, რომ საქმეზე სწორი გადაწყვეტილების გამოტანისათვის აუცილებელი გარემოებანი სწორად იქნა დადგენილი ორივე ქვემდგომი სასამართლოს მიერ და არ არსებობს მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევის საჭიროება. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე ემყარება სასამართლოს მიერ კანონის არასწორ განმარტებას და გამოყენებას.

აქედან გამომდინარე, სსსკ 391, 393, 396 და 411 მუხლების თანახმად

მოვითხოვთ:

1. სააპელაციო სასამართლოს 2000 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება ცნობილ იქნას მოპასუხეთა უფლებების დარღვევად, რომლებიც განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის 19, 26, 38 მუხლებით და ევროპის კონვენციის 9, 10, 11 და 14 მუხლებით.
2. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების სააპელაციო პალატის 2000 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილების უკანონოდ ცნობას და მის გაუქმებას.
3. მისი ახალი გადაწყვეტილებით შეცვლას, რომლითაც უარი ეთქვას მოსარჩელეს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.
4. მოსარჩელეს დაევალოს მოპასუხის მიერ განეული სასამართლო და სასამართლოსგარეშე ხარჯების ანაზღაურება.

იეჰოვას მონმეთა კავშირის
თავჯდომარე

ბ. კოპალიანი

პენსილვანიის საგუშაგო კოშკის,
ბიბლიისა და ტრაქტატების
საქართველოს წარმომადგენლობის
წარმომადგენელი

ა. ტიუნგლერი

დანართი:

1. საქართველოს 1997 წლის 14 ნოემბრის ორგანული კანონი საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერების და მათი აკრძალვის შესახებ.
2. 1950 წლის 4 ოქტომბრის ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია.
3. პროცესის ქრონოლოგია: დენის და დისკრიმინაციის ისტორია.
4. ქ. თბილისის პრემიერის 6 ივლისის 2000 წლის წერილი.
5. ამონაწერი 1998 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებიდან საქმეზე სიდოროპოულოსი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ.
6. ვენის შეხვედრის დასკვნითი ოქმი. (1989 წ.)
7. ეუთოს ქვეყნების ვენის შეხვედრის დასკვნითი საბუთი.
საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ.
8. საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 17 მაისის დადგენილება № 372.
9. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის 2000 წლის 18 ივლისის პასუხი.
10. საქართველოს 1997 წლის 16 ოქტომბრის კანონი საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების შესახებ.
11. საქართველოს 1999 წლის 22 ივნისის კანონი მეცნიერებათა აკადემიის შესახებ.
12. ამონაწერი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარიდან, გამომცემლობა „სამართალი“, მთავარი რედაქტორი ლადო ჭანტურია.

www.jw-media.org